მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 11(145) 2017 წ. 1-15 ივნისი ფასი 50 თეთრი

საქართველოს მომავალი



მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

29 მაისი, 2017 წელი



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ***ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან საკრებულოს წევრებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა*** **გიორგი გოგოჭურმა.**

აღნიშნული საკითხის მოსმენისა და განხილვის შემდეგ საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. საკრებულოს მიერ დამტკიცებული აღნიშნული წესის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე საჯარიმო ქვითრის გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული წესის მიხედვით. აღნიშნულ წესში განისაზღვრა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის დამზადების, მომარაგების, ოქმისა და საჯარიმო ქვითრის გაცემისა და დაბრუნების, ოქმებისა და საჯარიმო ქვითრების შენახვის, ოქმების შევსებისა და წარმოების, საჯარიმო ქვითრების შევსებისა და წარმოების შესახებ მთელი რიგი ნიუანსები. ამავე წესში განისაზღვრა, ასევე, სამშენებლო საქმიანობაზე ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა საქმის წარმოების წესი, რომელშიც განისაზღვრა ის ზოგადი დებულებები, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა „საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად უნდა განახორციელოს კონტროლი მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო საქმიანობაზე. კონკრეტულად კი, სამშენებლო საქმიანობაზე გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაფიქსირებული იქნება მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის წარმოების ფაქტი და ადგილზე ვერ მოხდება მიმდინარე საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი პირის (სპეციალისტის) მიერ, მოხდება მითითებული ფორმის შედგენა, რომელიც ჩაბარდება მეპატრონეს. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ჩაბარება, იგი გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე და გადაღებული იქნება ფოტო, რომლის შემდეგ მითითება ჩაითვლება ჩაბარებულად. აქვე განისაზღვრა ობიექტის მეპატრონის მიერ სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები, ასევე, უფლებამოსილი პირის მიერ განსახორციელებელი კონტროლისა და შემოწმების, დაჯარიმების შესახებ აქტების შედგენის წესი და ა.შ.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა*** **გიორგი ქურდოვანიძემ.**

წარმოდგენილი მოხსენების შემდეგ საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა განისაზღვრა შემდეგნაირად:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული:

ქ. საგარეჯოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 44 კვ.მ 55.12.57.011;

– სოფელ თულარში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1000 კვ.მ. საკ. კოდით 55.03.54.189;

– სოფელ კაკაბეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2875 კვ.მ. საკ.კოდით 55.07.69.036;

– ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილ №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 5738 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები საკ.კოდით 55.12.75.002;

– საგარეჯოში ერეკლე II-ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართით 2359 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საკ.კოდით 55.12.52.335;

– სოფელ ხაშმის ტერიტორიაზე მდებარე ლითონის მილი დ-219, სიგრძით 1729.28 მეტრი საკ.კოდით55.00.189. საწყისი საპრივატიზებო საფასური24209.92;

– სოფელ ხაშმის ტერიტორიაზე მდებარე ლითონის მილი დ-219, სიგრძით 2270,75 მეტრი. საკ.კოდი 55.00.187. საწყისი საპრივატიზებო საფასური 31790.50 ლარი;

– ქ. საგარეჯოში მდებარე 116 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკ.კოდით 55.12.52.275;

– სოფ კაკაბეთის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 5952 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ფართით 1360 კვ.მ. საკ.კოდით 55.07.59.039. საწყისი საპრივატიზებო საფასური 35000 ლარი. პირობებიანი აუქციონის ფორმა;

– ბორბლებიანი ექსკავატორი „CATERPILLAR“-ი (მოდელი 428c) გამოშვების წელი 1999, სახელმწიფო ნომრით YY-902. საწყისი საპრივატიზებო საფასური 78000 ლარი;

– სოფ გიორგიწმინდის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართით 530 კვ.მ. საკ.კოდით: 55.11.65.002. საწყისი საპრივატიზებო საფასური 5300 ლარი. პირობებიანი აუქციონის ფორმა.

დღის წესრიგის III საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწებისათვის სკვერის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის მოსმენისა და სამუშაო ჯგუფის ვადის გაგრძელების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურის კომისიის თავმჯდომარემ*** **ელდარ მეფარიძემ.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწებისათვის სკვერის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი განისაზღვრებოდა 6 კაცით: ელდარ მეფარიძე – ჯგუფის თავმჯდომარე, წევრები: ნიკოლოზ ნაცვლიშვილი, ვეფხია ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე მეზვრიშვილი, ზურაბ ქურთიშვილი, ივანე ბეჟიაშვილი. ჯგუფის მიერ ჩატარდა სამი სხდომა. მუშაობის პერიოდში სამუშაო ჯგუფმა მოიძია და შეისწავლა მიწის ნაკვეთები, რომლებსაც შესაძლოა მიენიჭოს სკვერის სტატუსი. ამ ეტაპზე ძირითადად შესწავლილია სოფლები: გიორგიწმინდა, ნინოწმინდა, პატარძეული, მანავი, დიდი ჩაილური, შიბლიანი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის დარჩენილ სოფლებს, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მათმა გამგებლის წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე, ცალკე სამუშაოებია ჩატარებული ქალაქ საგარეჯოში, სადაც შესაბამისი ნაკვეთების ნაწილი და არსებული სკვერებიც კი გასხვისებულია: ამის საფუძველზე კი სამუშაო ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია – გაირკვეს, რა ვითარებაში მოხდა აღნიშნული სკვერებისა და მიწის ნაკვეთების გასხვისება. სკვერის სტატუსის მინიჭებისათვის საკმარისია მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზები. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს აღნიშნული საქმიანობისათვის ხარჯები არ აქვს გათვალისწინებული. სამუშაოების დასრულებისათვის აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა ითხოვა დროებით სამუშაო ჯგუფისათვის ვადის გაგრძელება.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწებისათვის სკვერის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ დროებით სამუშაო ჯგუფს გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 17 აგვისტომდე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

6 ივნისი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. მან უპირველეს ყოვლისა მოისმინა თემებისა და სოფლების გამგებლის წარმომადგენელთა ზეპირი ინფორმაციები ცალკეულ სოფლებში ჯერ კიდევ არსებული, დროულად გადასაჭრელი პრობლემები. პატარძეულის გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლის **ბულნაზ გიუნაშვილის** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აუცილებელი ხდება იმ ქუჩაზე (ყუშიტაანთ უბანი) სანიაღვრე არხის გაკეთება, რომელზედაც ახლა ასფალტის დაგება მიმდინარეობს. სხვა შემთხვევაში, უხვი ნალექების დროს წარმოქმნილი ნიაღვარი საგრძნობლად დააზიანებს ასფალტის საფარს. ასევე, ნინოწმინდის გამგებლის წარმომადგენლის **თამარ გარსევანიძის** თქმით, ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერთან უხვი ნალექების შემთხვევაში იტბორება გარკვეული ნაწილი, სადაც შემდეგ ტექნიკის ჩარევის აუცილებლობაც იქმნება. ვერხვიანის გამგებლის წარმომადგენლის **ნოდარ ბეგიაშვილის** ინფორმაციით, მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებაში კვლავ პრობლემებს ქმნის სასმელი წყლის ტუმბოს გაუმართაობა. ასევე, სოფლად არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს წყაროსთავის გამგებლის წარმომადგენელმა **გიორგი კერატიშვილმა,** კოჭბანის გამგებლის წარმომადგენელმა **შმაგი ბერიძიშვილმა,** ხაშმის გამგებლის წარმომადგენელმა **ზურაბ ყირმელაშვილმა**, დიდი ჩაილურის გამგებლის წარმომადგენელმა **ანა ყაჯრიშვილმა,** მანავის გამგებლის წარმომადგენელმა **დიმიტრი საბაშვილმა.** თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის **გიორგი გზირიშვილის** მიერ კონკრეტული დავალებები მიეცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსს **ბექა ფეიქრიშვილს** და შპს „საგარეჯოს“ დირექტორს **სანდრო უსტიაშვილს**, თათბირზე წარმოდგენილი პრობლემების დროულად გადაჭრისათვის.

თათბირს ესწრებოდა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი.**

ინფრასტრუქტურა-2017

ამ პროექტებით მნიშვნელოვანი საკითხები მოგვარდება

წლების განმავლობაში მართლაც უმნიშვნელოვანესი, მთელი რიგი პრობლემატური საკითხები მოწესრიგდა პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – ამოიცვალა სასმელი წყლის მაგისტრალები, შეკეთდა სასმელი წყლის რეზერვუარები, სათავე-ნაგებობები; საუბნო ონკანები დაიდგა იმ უბნებში, სადაც საერთაოდ არ ყოფილა. გაკეთდა სასმელი წყლის ქსელები, მოწესრიგდა ცენტრალური და საუბნო გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიდებს, მოსწორდა და ნორმალური კალაპოტი გაუკეთდა მდინარეებს, ხევებს, მოეწყო გარე განათება ისეთ უბნებში, სადაც ათეული წლებია არ ყოფილა, მოწესრიგდა და კეთილმოეწყო სკვერები, მინი სტადიონები, მინი სპორტული მოედნები, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, მოწესრიგდა მოსახლეობის კუთვნილ სავარგულებამდე მისასვლელი გზები, მოეწყო მგზავრთა მოსაცდელები, მოწესრიგდა, შემოიღობა სასაფლაოები, მაგრამ... გასაკეთებელი, მოსაგვარებელი საკითხები ჯერ კიდევ ბევრია. აღნიშნული პროგრამა კი უკვე ამოიწურა... თუმცა წინა წლებში განხორციელებელი პროექტებიდან მორჩენილი თანხებით ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლებისთვის რჩება კიდევ ერთი შესაძლებლობა – მოწესრიგდეს თუნდაც ერთი პრობლემა. ამის საშუალებას იძლევა საქართველოს მთავრობის განკარგულებაც, რომლის გაცნობაც ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს ბიორგი ძურდოვანიძეს*** ვთხოვეთ.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი 19631,21 (ცხრამეტი ათას ექვსას ოცდათერმეტი ლარი და 21 თეთრი) ლარის და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი 31628,41 (ოცდათერთმეტი ათას ექვსას ოცდარვა ლარი და ორმოცდაერთი თეთრი) ლარის ოდენობით „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი 270881,01 (ორას სამოცდაათი ათას რვაას ოთხმოცდაერთი ლარი და ერთი თეთრი) ლარის ოდენობით – ჯამში ეკონომიამ შეადგინა 322140,63 (სამას ოცდაორი ათას ას ორმოცი ლარი და სამოცდასამი თეთრი) ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ:

ა. – სოფ. გომბორში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია;

ბ. – სოფ. უჯარმაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სარიტუალო ინვენტარის შეძენა, ამბულატორიის საპირფარეშოსთვის საშენი მასალის შეძენა;

გ. – სოფ. პალდოში ეკლიანი მავთულის შეძენა;

დ. – სოფ. სასადილოში სარწყავი არხის სისტემის რეაბილიტაცია;

ე. – სოფ. მუხროვანში სარწყავი წლის აღდგენა;

ვ. – სოფ. იკვლივ გორანაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია;

ზ. – სოფ. ოთარაანში 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით შეძენილი სასმელი წყლის მილების მოწყობა;

თ. – სოფ. ხაშმში გარე განათების მოწყობა, კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია;

ი. – სოფ. პატარძეულში სამი მოსაცდელის მოწყობა, სასმელი წყლისთვის პოლიეთილენის მილის და ონკანების შეძენა;

კ. – სოფ. ნინოწმინდაში ცხაურების მოწყობა №11 და №12 ქუჩებზე, საბავშვო ბაღში და №1 ქუჩის I შეს. სასმელი წყლის შეყვანა, სოფლის სტადიონის შემოღობვა;

ლ. – სოფ. წყაროსთავში გარე განათების მოწყობა, 150მ სასმელი წყლის 40მმ-იანი მილის შეძენა;

მ. – სოფ. გიორგიწმინდაში ჭაბურღილზე დამატებითი რეზერვუარის მოწყობა, “ნავრობის ხევის” სათავე-ნაგებობის შემოღობვა;

ნ. – სოფ. თოხლიაურში გარე განათების მოწყობა;

ო. – სოფ. სათაფლეში სოფელში არსებული ჭის რეაბილიტაცია, პოლიეთილენის მილის შეძენა;

პ. – სოფ. მანავში №1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა;

ჟ. – სოფ. დიდი ჩაილურში წყლის შემკრები ავზის სრული რეაბილიტაცია;

რ. – სოფ. პატარა ჩაილურში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

ს. – სოფ. კაკაბეთში გარე განათების მოწყობა, სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

ტ. – სოფ. ვერხვიანში გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია;

უ. – სოფ. ყანდაურაში სოფელში არსებულ ბოგირზე სამაგრი მოაჯირის მოწყობა, საუბნო წყლის რეაბილიტაცია;

ფ. – სოფ. ბადიაურში საბავშვო ბაღისათვის ატრაქციონების შეძენა, გარე განათების მოწყობა, სასოფლო კლუბისთვის საპირფარეშოს მოწყობა;

ქ. – სოფ. მზისგულში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;

ღ. –სოფ. შიბლიანიში გარე განათების მოწყობა, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია;

ყ. – სოფ. უდაბნოში ძველი საბ.ბაღის შენობაში ორი ოთახის რეაბილიტაცია კულტ. ცენტრის მოსაწყობად;

შ. – სოფ. იორმუღანლოში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მოსაცდელის მოწყობა, სოფელში ე.წ. სოკარის წყლის გაყვანა;

ჩ. – სოფ. ლამბალოში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

ც. – სოფ. თულარში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

ძ. – სოფ. დუზაგრამაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

წ. – სოფ. ქეშალოში გარე განათების მოწყობა;

ჭ. – სოფ. კაზლარში მოსაცდელის მოწყობა;

აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად ელექტრონული ტენდერი უკვე გამოცხადდა...

ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაციები მალე შეუდგებიან სამშენებლო საქმიანობას, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს მოაგვარებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

4 ივნისს ციგგომბორის მთაზე მოსულმა ძლიერმა წვიმამ გვიან დამით სოფლების ანთოკისა და თოხლიაურის ხევების მკვეთრი ადიდება გამოიწვია. ხევებზე გადებული ხიდების ქვეშ (რომლებზეც კახეთის ცენტრალური საგზაო მაგისტრალი გადის) წყალმა დიდი რაოდენობით ქვა-ღორღი, ხის მოზრდილი ტოტები და სხვადასხვა სახის ნარჩენები მიიტანა, რამაც შეუძლებელი გახადა წყლის ძლიერი ნაკადის ხიდების ქვეშ გავლა და ნიაღვარი უწყვეტად გადაედინებოდა კახეთის გზატკეცილზე. შედეგად, შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა. ამასთან, საგრძნობლად დაიტბორა რესტორან “ფაცხების” მთელი ტერიტორია და თოხლიაურის მაცხოვრებელთა ვენახები.

სტიქიის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი, პოლიციის დანაყოფები და საგარეჯოს სახანძრო–სამაშველო ჯგუფი. გიორგი გზირიშვილმა სწრაფად და ზუსტად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა – მან დაახლოებით ღამის პირველ საათსა და 05 წუთზე შპს “საგარეჯოს” თანამშრომლები და ამავე სტრუქტურული ერთეულის ბალანსზე არსებული ექსკავატორი გამოიძახა.

შპს “საგარეჯოს” ჯგუფი ადგილზე უმოკლეს დროში –გამოძახებიდან დაახლოებით 20–25 წუთში მივიდა. ღამის პირობები და ადიდებული წყალი, ბუნებრივია, ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ იძლეოდა. ამის მიუხედავად, მაღალი პროფესიონალიზმის შედეგად მოხერხდა ნიაღვრის ხევის კალაპოტში მოქცევა და შესაძლებლობის ფარგლებში, ზოგიერთ ადგილას, ხევების ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. შესაბამისად, შეწყდა ზემოთ ხსენებული ტერიტორიების დატბორვა. აგრეთვე, მოკლე პერიოდში აღდგა ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა.

შპს „საგარეჯო“ ძლიერ სტიქიას წარმატებით გაუმკლავდა

5 ივნისს, დაახლოებით 15:00 საათზე, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თოხლიაურის ხევში ჩამდინარე წყალმა კვლავ მოძებნა დაუცველი ადგილი და ისევ აგრძელებდა რესტორან “ფაცხების” ტერიტორიის დატბორვას. ამჯერად, შპს –ს დირექტორის, სანდრო უსტიაშვილის დავალებით, სპეც. ტექნიკა კიდევ ერთხელ მივიდა ადგილზე და დაუცველი ადგილი შეაკეთა.

მართალია, სტიქია შეჩერდა, მაგრამ არაერთი საზრუნავი დაუტოვა საგარეჯოს გამგეობას და მათ შორის – შპს “საგარეჯოსაც”. მომავალი სამუშაოების მასშტაბისა და მოცულობის შესაფასებლად, შპს–ს დირექტორმა სანდრო უსტიაშვილმა ორივე ხევის მდგომარეობა გულდასმით დაათვალიერა და შეაფასა. შპს „საგარეჯოს“ ხელმძღვანელი ანთოკის ხევთან შემთხვევით შეხვდა გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ზურაბ ივანელაშვილს. შექმნილი ურთულესი პრობლემის გაანალიზებისას ორივე მათგანმა გამოთქვა მოსაზრება, ხსენებული ხევების მდგომარეობასა და მათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად იქნას გავლილი მუნიციპალიტეტის გამგებელთან და შემდგომში მისგან იქნას მიღებული ახალი დავალებები არსებულ პრობლემათა მოსაგვარებლად.

სანდრო უსტიაშვილი,
შპს „საგარეჯოს“ დირექტორი

სტიქია საგარეჯოში

10 ივნისს არნახული სეტყვა დაატყდა თავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს. სტიქიამ 70-10 პროცენტის ფარგლებში დააზარალა წყაროსთავის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, გიორგწმინდის, ვერხვიანის, ბადიაურის, შიბლიანის მცხოვრებთა საკარმიდამო ნაკვეთები და ვენახები, ერთწლიანი თუ მრავალწლიანი ნათეს-ნარგავები. თვითმხილველთა გადმოცემით, სეტყვამ თავისი მსახვრელი ხელი დაატყო გიორგიწმინდის, საგარეჯოს, ნინოწმინდის ტერიტორიას. ზოგან სეტყვა ისეთი ოდენობითა და ინტენსივობით მოვიდა, რომ ჩრდილებში, წყალსაშვები ღარების ქვეშ მეორე დღეს დილამდე იდო გაუმდნარი ყინული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წინასწარი მონაცემებით, ამ დღეს ზემოაღნიშნული (70-100%) ოდენობით საგარეჯოში განადგურდა 100, გიორგიწმინდაში – 60, ნინოწმინდასა და წყაროსთავში – 70 ჰექტრამდე და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მათზე განთავსებული ერთწლიანი და მრავალწლიანი ნათეს-ნარგავები და თავთავიანი მოსავალი. მუნიციპალიტეტში დაწყებულია მოსახლეობასა და ფერმერებზე სეტყვით მიყენებული ზარალის აღრიცხვა და დაანგარიშება.

მათ სკოლის კედლები დატოვეს...

საჭილდაო ქვა, რომელიც მათ ელოდებათ

ენის, მამულის სარწმუნოების მოსაფრთხილებლად

გელა ვეშაპიძემ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა წარმატებით დაამთავრა. ორი უფროსი დის ნანატრი ძმა მართლაც დიდ სითბოსა და სიყვარულში გაიზარდა. მაგრამ... პედაგოგი დედის – ეკა ჭიკაძისა და პოლიციის თანამშრომლის – გელა ვეშაპიძის შვილი მაინც რაღაცნაირ „შეზღუდვებს“ გრძნობდა – არ უნდა ეცელქა, ზედმეტი არაფერში არ უნდა მოსვლოდა, მაგრამ რაღაცნაირ დაუდგრომელ, სიცოცხლით სავსე ბიჭს ვერ ბორკავდა, ჩარჩოებში ვერ ამაგრებდა ყოველდღიური ცხოვრება. მონაწილეობდა ყველა სასკოლო ღონისძიებაში, შემდეგ სარაიონო და გელა ყველა თაობისთვის მისაღები იყო თავისი ინტელექტუალობით, ქორეოგრაფიული თუ მუსიკალური მონაცემებით. ამიტომ იცნობს რაიონის თითქმის ყველა საჯარო სკოლიდან თანატოლებს, პედაგოგებს. განსაკუთრებით უყვარს თავისი სოფლის ტრადიციული დღესასწაული „ბერიკაობა“, სადაც ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებს და ეს დღე რაღაცნაირი სიყვარულით უყვარს, ელოდება...

გულისფანცქალით ელოდა ბოლო ზარის დღეს, საგანგებოდ ემზადებოდა. განა არ ჰქონია ერთმანეთის მიყოლებით, ერთმანეთზე უკეთესი დღეები?! მაგრამ, ეს სხვანაირი მოლოდინი იყო, მოლოდინი – ემოციებით დატვირთული.

– გელა, გილოცავთ სკოლის დამთავრებას. წარმატებებს გისურვებთ. ჩაიარა ბოლო ზარის მღელვარებამ, გამოსაშვები გამოცდების ციებ-ცხელებამ, როგორია მომავლის გეგმები?

– მართლაც საოცარი მღელვარება მქონდა ამ დღეს და ვისაც ეს გამოუცდია, კიდეც მიხვდება... მოვემზადე საგულდაგულოდ, სასიამოვნოდ. თანაც, ხომ იცით, როცა დეიდები საზღვარგარეთ არიან და საკუთარი თვალით ვერ მხედავენ, როცა მამის ძმის ოჯახიც საზღვარგარეთაა და აინტერესებთ ყველაფერი, ცოტა მოტივაცია გიჩნდება, ლამაზად, კაცურად, შთამბეჭდავად გამოიყურებოდე. იქით ბებიის მხრიდან იმერეთის მხარე და ეს კიდევ ხომ იცით, რამდენ რამეს „გავალებს“...; ამ ლამაზ დღეს ისიც დაემატა, რომ ამერიკაში კიდევ ერთი ჩემი ბიძაშვილი მოევლინა ამ ქვეყანას და ეს კახელი კაცი კინაღამ „ჭკუიდან გადავდექი“ სიხარულისგან.

გამოცდებმაც კარგად ჩაიარა... რაც 12 წლის განმავლობაში ვისწავლე, „დამიფასდა“...

რაც შეეხება მომავლის გეგმებს – ეროვნულ გამოცდებს მე დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები – მინდა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენოსნო ფაკულტეტზე ჩავაბარო. ეს იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ ბიძაჩემთან ამერიკაში მივფრინავ და მოვფრინავ, უბრალოდ, ბავშვობიდან მაინტერესებს...

– სკოლიდან მოგონებები მიგყვება... რას ნიშნავდა შენთვის მასწავლებლის შვილობა, რომელი მასწავლებელი გიყვარს ძალიან?

– ბევრი კარგი მოგონება მიმყვება სკოლიდან. ძნელია არჩევანი გავაკეთო – არ გამოვა... ის, რომ მასწავლებლის შვილი ვარ, ბევრ რამეში „მავიწროებდა“ – არ შემეძლო სკოლიდან გაპარვა, მაგრამ, როცა ყველა მიდის სკოლიდან, მე რა უნდა გამეკეთებინა, მეც ხომ ჩემი კლასის ნაწილი ვარ?! ხოდა, მეც მივდიოდი... ასე, რომ მშობლების დარიგება რჩებოდა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“... თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ არ წავსულიყავი კლასელებთან ერთად, სწორედ მშობლებიდან „მომხვდებოდა“ თანაც, მაგრად... ახლა, რომ გითხრათ, ისტორიის მასწავლებელი უფრო ნაკლებად მიყვარდა-მეთქი, ხომ არ დამიჯერებთ?! ხოდა, დედაჩემი მიყვარდა და მიყვარს როგორც მასწავლებელი, ნუ ეწყინება ჩემს მასწავლებლებს...

– გელა, რას ფიქრობ, თქვენი თაობისთვის საჭილდაო ქვა რა არის?

– სამშობლოს – არა, უფრო სწორად,– ენის, მამულის, სარწმუნოების მაღალ ხარისხში სიყვარული და მოფრთხილება, ვიდრე ეს მშობლების და მათი მშობლების თაობებმა შეძლეს. ჩვენმა თაობამ მოახერხა და შეიცვალა მსოფლმხედველობა. ასე თუ ისე, სწორი რაკურსით ვხედავთ წინა თაობების შეცდომებს, სწორად ვუყურებთ მომავალს, ამასთან ერთად, ჩვენ ყველანაირი ხელშეწყობა გვაქვს და საშუალება წარმატების მისაღწევად, მთავარია, ეს საშუალებები სწორად გამოვიყენოთ...

– წარმატებებს გისურვებთ შენც და შენს თაობასაც, დღეს საქართველოს კარგი გულშემატკივარი და პატრონი სჭირდება, უფალმა თქვენი თაობა გამოგარჩიოთ ამ კუთხით...

სიახლეების საძიებლად

სოსო მატიაშვილმა საგარეჯოს II საჯარო სკოლის პირველი კლასის კარები 2006 წელს შეხსნა. ქერა, სიმპატიური, თვალებში სიყვარულის თბილი სხივებით შეხვდა პედაგოგი ლეილა სანთელაძე, რომლის სახელიც სოსოს და მის თანაკლასელებს მთელი ცხოვრების გზაზე პირველი მასწავლებლის სტატუსით შემორჩება. იმ პირველი მასწავლებლის, რომელმაც ნელ-ნელა გაუხვნა ქართული ენის რაღაცნაირი, მშობლიური საიდუმლოებებით, მაგრამ ბრწყინვალებით გასხივოსნებული სამყარო. აკანკალებული ხელით მოახაზინათ ანბანის პირველი ასოები და აჩქარებული გულისცემით წააკითხათ დედა-ენის თითოეული ფურცელი. ნელ-ნელა, დაგემოვნებით შეაყვარათ ქართული ლექსი, ინტერესით ამოგზაურა რიცხვების და ხელოვნების ლაბირინთებში, თვალცრემლიანმა დაულოცათ მეხუთეკლასელობა და ყოველდღე ადევნებდათ თვალყურს – შემდეგში როგორ ასრულებდნენ პედაგოგის დამოძღვრას... ლეილა მასწავლებელი ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგმა ნინო მელაშვილმა შეცვალა. კლასის დამრიგებელიო, კლასის ხელმძღვანელიო, მაგრამ ეს იყო პიროვნება – უზომოდ შეყვარებული თავის მოსწავლეებსა და თავის პროფესიაზე...

და დადგა სკოლასთან გამომშვიდობების ულამაზესი, სიხარულის, მაგრამ სკოლასთან განშორების სევდაშეპარული დღეც. ეძნელებოდათ სკოლის კედლებთან განშორება, მაგრამ ცხოვრების გზაზე გასასვლელი პირველი დღეც და მომდევნო დღეებიც იზიდავდათ... სითბოთი და რაღაცნაირი სიხარულით იხსენებს ახლა იმ დღეს სოსო, მართლაც ულამაზესი, მრავალი ფერებით გაჯერებულს, მხოლოდ ცისარტყელას ფერებით კი არა, უამრავი ფერებით გაფერადებულს და გაკაშკაშებულს...

ახლა ერთი მიზანი აქვს დასახული – საფუძვლიანად მოემზადოს ერთიანი გამოცდების ჩასაბარებლად. პროფესიაც არჩეული აქვს – მოსწონს, აინტერესებს, ცოდნის გაღრმავება, ახალ-ახალი ტექნოლოგიების გაცნობა სურს, თანაც მამის პროფესიას გაჰყვება – ინფორმატიკა ბევრი საოცრების ამოცნობას, ხალისიან ცხოვრებას ჰპირდება მას...

ერთი კარგი გასახსენებელი და შემდგომ ცხოვრებაშიც გასათვალისწინებელი მოჰყვება სოსოს სკოლიდან – კლასში ძლიერი მოსწავლეები იყვნენ, ჯანსაღი „კონკურენცია“, როგორც მან მითხრა, დაეხმარა მთელ კლასს – კარგად ესწავლათ, დრო ტყუილუბრალოდ არ გაეტარებინათ და მუდმივად სიახლის ძიებაში ყოფილიყვნენ. ამასთან ერთმანეთის სიყვარულში, სითბოს განაწილებაში, ცოდნის გაზიარებაშიც ეჯიბრებოდნენ და ამ კეთილმა ჯიბრმა ნაყოფიც გამოიღო, დღეს სოსოს ესახელება თავისი კლასელები, კლასელები, რომელთა სიყვარულს, მოგონებებს მათთან ერთად გატარებულ ლამაზ წლებზე ახლა თავის სტუდენტ მეგობრებს გაუზიარებს...

წარმატებებს გისურვებთ, სოსო!

<u>მადლობა</u>

ექიმ სტომატოლოგს – ჯემალ ჯარიაშვილს

ბატონო ჯემალ!

თქვენისთანა ბუნების ადამიანი და სპეციალისტი ღამით და დღისით სანთლით რომ ეძებო, იშვიათად თუ შეგხვდება საქართველოში.

ჭეშმარიტად ჰიპოკრატეს მიმდევარი ბრძანდებით. იმრავლოს თქვენი ბუნების ადამიანებმა – სპეციალისტებმა.

პატივისცემით
გივი კარანაძე
საგარეჯო

1 ივნისი საგარეჯოში

ზაფხულის პირველი დღე - 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღესასწაულს მთელს მსოფლიოში აღნიშნავენ და რა თქმა უნდა, საქართველოც არაა გამონაკლისი. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით ქ.საგარეჯოში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ადგილობრივი ბავშვების შესრულებით ჩატარდა კონცერტი და გაიმართა ნაყინის აქცია. ღონისძიებების პარალელურად ბავშვებმა ფერადი ცარცებით ასფალტი მოხატეს. შეგახსენებთ, რომ პირველად ბავშვთა დაცვის დღე აღნიშნეს 1959 წელს და ამ დღესასწაულმა მსოფლიოს 51 ქვეყანა მოიცვა. მას შემდეგ ეს დღესასწაული ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღეს საკუთარი დროშაც კი გააჩნია, რომელიც მსოფლიოს 30-ზე მეტმა ქვეყანამ სცნო. ეს მწვანე ფერის დროშაა, რომლის ცენტრშიც გამოსახულია დედამიწა და მის გარშემო 5 სხვადასხვა ფერის ადამიანის ფიგურა.

თამარ ჯაბადარი,
აიპ „საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ დირექტორი



საგარეჯოელი

სამგზის გამარჯვებულს „უიღბლოს“ ეძახდნენ

60-იანი წლების წარმატებული ქართველი მოჭიდავე სპარტაკ ქარსაულიძე საგარეჯოელია. სკოლის დამთავრების შემდეგ მას საგარეჯოში აღარ უცხოვრია – მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში, ახალგაზრდობის წლებიც იქ გაატარა, ოჯახიც თბილისში შექმნა და დღესაც იქ აბრძელებს აქტიურ შრომით საქმიანობას და ცხოვრებას. საგარეჯო ძალიან უყვარს. უყვარს მშობლიური პატარა ქალაქი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში მხურვალე გულშემატკივარი იყო მისი სპორტული მოღვაწეობის, მისი გამარჯვებების და ზოგჯერ უიღბლოდ დამარცხების. სპორტული პრესიდან ამონარიდი ეს პატარა წერილი ბატონი სპარტაკის სპორტულ მოღვაწეობას შეგვახსენებს.



თავისუფალ ჭიდაობაში ყოფილი სსრკ ჩემპიონი (1965წ) თბილისის საერთაშორისო ტურნირის სამგზის გამარჯვებული 1963-1964-1965 წლებში, სსრკ თასის მფლობელი (1965წ), 1967 წლის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი გუნდთან ერთად (პირადში – II), სტუდენტთა საკავშირო თამაშების ჩემპიონი (1966წ) ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სპარტაკ ქარსაულიძე 12 წელიწადი თბილისის ვაკის რაიონის გამგეობაში ვაჭრობის, საზკვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მანამდე იყო „სურსათვაჭრობის“ დირექტორი. ცნობილ მოჭიდავეზე ადრე ხშირად წერდა ჩვენი სპორტული პრესა, ამ ბოლო დროს კი მასმედიის იშვიათი სტუმარია, ამიტომაც გადავწყვიტეთ გასაუბრება ადამიანთან, რომელიც სხვათა შორის პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ ვაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლავთ.

– ბ-ნო სპარტაკ, თქვენ საგარეჯოელი ბრძანდებით. ალბათ ნახერხმოყრილი საჭიდაო წრიდან მოხვედით დიდ ჭიდაობაში?

– მე პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე ვიყავი. საგარეჯოში ფიზკულტურის მასწავლებელთან ვიქტორ გარსიაშვილთან ვვარჯიშობდი, თან საგარეჯოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარეობასაც ვითავსებდი. რა თქმა უნდა, ხშირად ვუყურებდი ჭიდაობებს და აქაც ვცადე ძალა ქართულ ჭიდაობაში. წვრთნა ვანო მეკოკიშვილთან დავიწყე. საქართველოს ჩემპიონიც გავხდი ამ სახეობაში. მერე თბილისში მიხეილ თიკანაძესთან გავაგრძელე ვარჯიში ჭიდაობაში.

– ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში, როგორც წესი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში ან იმარჯვებდნენ, ან რომელიმე სინჯის მედალს ეუფლებოდნენ.

– თქვენ იმის თქმა გინდათ, თუ რატომ არ მიშვებდნენ ევროპისა და მსოფლიოს სარბიელზე?

სამწუხაროდ მიკერძოება მაშინაც იყო ხოლმე ჩვენს სახეობაშიც. ამის გამო ერთ ხანს თავიც კი დავანებე სპორტს.

უიღბლო მოჭიდავეს მეძახდნენ მეგობრები.

– 35 წლის წინათ თქვენ თბილისის მეორე საერთაშორისო ტურნირი მოიგეთ. ხომ არ გაიხსენებდით ამ ასპარეზობას?

– სულ 4 მოჭიდავეს უშვებდნენ ქვემსუბუქ წონაში სსრკ-დან. დეიდაჩემი თამარ ბუზარიაშვილი მაშინ საზოგადოება „ცოდნაში“ ლექტორად მუშაობდა. მას რომ არ ეყოჩადა ალბათ იმ შეჯიბრებაში ვერ გამოვიდოდი. დეიდამ „ცოდნის“ თავმჯდომარეს დავით ენუქიძეს სთხოვა დახმარებოდა. რის ვაივაგლახით მეხუთე მონაწილედ ამწონეს 62 კგ-ში სსრკ ნაკრებიდან. ყველა შეხვედრა მოვიგე, ნახევარფინალში 4:2 დავამარცხე მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ტ. იასაკარი, ფინალში 3:1 ვაჯობე მსოფლიოს ჩემპიონს ირანელ ს. სეიპფურს. სხვათა შორის, მე საწვრთნელ შეკრებაზეც არ ვყოფილვარ და რომ გავიმარჯვე, მთელი ერთი თვის კვების ტალონები ერთად მომცეს...

– თქვენ ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრეთ, მწვრთნელად არ გიცდიათ მუშაობა?

– „ფრიადებზე“ დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ ასეთივე წარჩინებით სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლისას სტუდენტებს ვავარჯიშებდი თავისუფალ ჭიდაობაში. სხვათა შორის, ლევან თედიაშვილმა მაშინ 2 თვე ჩემთან ივარჯიშა უნივერსიტეტის სპორტდარბაზში, ვურჩიე კიდეც, სამბოს გაჰყოლოდა თუ თავისუფალ ჭიდაობას. მერე ლევანი საგარეჯოდან რუსთავში დადიოდა – იქ ცოტა ხნით ჩამოსულ დიმიტრი მინდიაშვილთან სავარჯიშოდ.

– თქვენზე ამბობენ, ტექნიკური მოჭიდავე იყოო. თქვენი აზრით რა ნაკლი გქონდათ?

– ქართულმა ჭიდაობამ ტემპი და ტექნიკა მასწავლა, მაგრამ გამძლეობაში მოვიკოჭლებდი. ეტყობა სუნთქვას სწორად ვერ ვანაწილებდი ჭიდაობისას, თუმცა სუნთქვის გამომუშავებაზეც ბლომად მიწევდა ვარჯიში. ვფიქრობ წონის დაკლებამ იმოქმედა სუნთქვაზე. 5-6 კილოგრამს ვიკლებდი.

– ამბობენ ძველმა მოჭიდავეებმა კარგი მეგობრობა იციანო...

– დიახ, ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და ოჯახებით ვმეგობრობთ. ჩემი და ზარიბეგ ბერიაშვილის ვაჟები ერთმანეთის მეჯვარეები არიან.

– დღეს თუ ვარჯიშობთ თქვენი ჯანმრთელობისათვის?

– ადრე არაგვის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ვერაზე. იქიდან დილაობით მთაწმინდაზე, სატელევიზიო კოშკამდე სირბილით ავდიოდი. ამის მერე მივდიოდი უნივერსიტეტში. იქედან ჯერ პეტრეს დარბაზში, მერე დინამოზე, ბოლოს ფალავანთა კლუბშიც მომიწია ვარჯიშებმა. დღეს ხან ლისის, ხან კუს ტბაზეც ძუნძულით დავრბივარ, ასე, რომ შეიძელება ითქვას, მთელი შემადგენლობით ფიზკულტურელი ვარ. გეტყვით, რომ მყავს ორი შვილი – დავითი და თამრიკო და სამი შვილიშვილი – ლაშა, ლიზიკო და ირაკლი.

ბესიკ გაბრიაძე

გაზეთი „ლელო“, 1998 წ.

ოცდასამწოლიანი ემიგრაციის შემდეგ საქართველოში

სულ რადაც ორი წლის იყო იორმუდანლოელი ვუსალ შარიფოვი, როცა მისი ოჯახი გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულ ცნობილ მოვლენებს გაერიდა და საცხოვრებლად აზერბაიჯანის დედაქალაქში გადავიდა. 1992 წლის 9 ნოემბერს დაბადებული ვუსალი სასწავლებლად ბაქოს 191-ე სკოლაში შეუყვანიათ, სადაც აღმოსავლური ორთაბრძოლებით, კერძოდ, ჩინური საბრძოლო ხელოვნება უშუ კონფუგუთი დაინტერესებულა და 11 წლის ასაკში სავარჯიშოდ სპორტკლუბში „თეთრი ცხენი“ შესულა. აქ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული სპორტსმენის პირველი მწვრთნელ-მასწავლებელი სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი ფარვიზ ისაევი ყოფილა, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ კლუბში მისვლიდან ერთი წლის შემდეგ, 2006 წელს ვუსალი აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა უმცროს ასაკში. ამის შემდეგ, 2007-2014 წლებში იგი აზერბაიჯანის ჩემპიონია ჯერ ჭაბუკებში, შემდეგ კი უფროს ასაკში. პარალელურად ვუსალი მონაწილეობს სხვადასხვა დონის საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო ასპარეზობებშიც. 2009 წელს იგი წარმატებით გამოდის ბათუმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც მოიპოვა პირველი ადგილი და ჩემპიონი გახდა თავის წონით კატეგორიაში.

2011 წელი. ვუსალ შარიფოვი მონაწილეობს ბულგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, საიდანაც ჩემპიონისა და ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენის წოდებით ბრუნდება..

2013 წელს 21 წლის საკმაოდ გამოცდილი და ტიტულოვანი სპორტსმენი ჩინეთში, პეკინის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ხდება, მომდევნო – 2014 წელს კი იგივე პეკინის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია.

ამას გარდა, ვუსალმა პროფესიონალთა შორისაც სცადა თავისი ძალები. 10-ჯერ მიიღო მონაწილეობა პროფესიულ რინგზე გამართულ ორთაბრძოლებში და ათჯერვე გამარჯვებული, ჩემპიონის ტიტულით ჩამოვიდა რინგიდან.

ამ წლის გაზაფხულზე, 23 წლიანი განშორების შემდეგ ვუსალი სამშობლოში დაბრუნდა და ფიქრობს, რომ აქ იცხოვროს, რადგან ის საქართველოს მოქალაქეა. აქედან გამომდინარე, იგი თვლის, რომ მარტო მოქალაქეობა არ კმარა და უნდა იცოდეს ქართული ენაც, რის შესწავლასაც უკვე შეუდგა იორმუდანლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელ თეა გურგენიძის დახმარებით. ასევე ემზადება საქართველოში უმაღლესი განათლების მისაღებად.

იორმუღანლოში დაბრუნებული ტიტულოვანი სპორტსმენი არც სპორტულ საქმიანობას ივიწყებს და აქტიური სპორტიდან წასვლასაც არ აპირებს. ჩამოსვლისას, მარნეულის დეპუტატის მახირ გაჯიევის დახმარებით შეხვდა და ესაუბრა საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, ხოლო უშუალო წვრთნებს საგარეჯოში გახსნილ უშუ კონფუგუს კლუბში „არწივი“ ინსტრუქტორ იოსებ გრატიაშვილის ხელმძღვანელობით გადის. იმედია, აზერბაიჯანში სახელგანთქმული ჩვენი თანამოქალაქე „მოჩხუბარი“ არც საქართველოში „დაარღვევს ტრადიციას“ და აქაც ბერჯერ გაგვახარებს თავისი წარმატებებით.

გოგი დაგახიშვილი

მადლობა

გაზაფხულისა და შემოდგომის უხვი ნალექების გამო სოფელ მანავის ტერიტორიაზე გამავალი ე.წ. „მღვრიე ხევის“ კალაპოტი ხშირ შემთხვევაში მდინარის მიერ ჩამოტანილი ნატანითა და სხვადასხვა მასალით ივსება, შემდეგ ის მასა აზიანებს მანაველთა კუთვნილ ვენახებსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. ასე იყო ამჯერადაც. „მღვრიე ხევის“ კალაპოტი რამდენიმე ადგილზე ისე იყო დაზიანებული, საჭირო გახდა მძიმე ტექნიკის ჩართვა. ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის დავალებით შპს „საგარეჯოს“ სპეცტექნიკამ ეს ადგილები 9 დღის განმავლობაში მოაწესრიგა-გაწმინდა, გააღრმავა ადგილები, შეკეთდა და გამაგრდა სანაპირო ჯებირები.

ამ გადაუდებელი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის მადლობას ვუხდით ***მუნიციპალიტეტის გამგებელს*** **ბიორგი გზირიშვილს,** შპს ***„საგარეჯოს“ დირექტორს*** **სანდრო უსტიაშვილს,** მის ***მოადგილეს*** **ლევან ძვლიშვილს** და ***მძიმე ტექნიკის მძღოლს*** **ნიკოლოზ როსტომაშვილს**.

დიმიტრი საბაშვილი,

გამგებლის წარმომადგენელი სოფელ მანავში;

მანავის მოსახლეობა.

საგარეჯოს ზოგიერთ ახლო მეზობლებს სიყვარულით მგოსან ვაჟა-ფშაველას ლექსი

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა.
ცალ მხარს მიწაზე მიითრევს
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენ ბუმბულს,
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

გივი კარანაძე,

საგარეჯო, 9 ივნისი, 2017 წელი

მართლმადიდებლობა

1 ივნისი – მოციქულთა სწორი წმიდა ნინოს შემოსვლა

რადგან ღვთისმშობელი, ანუ დედაკაცი იყო საქართველოს მფარველი, დედამ ღვთისამ, თავისი მეოხების დასადასტურებლად, სწორედ დედაკაცივე წარმოავლინა მისსავე წილხვედრ ქვეყანაში.

ამ მიზნით ღვთისმშობელმა გამოარჩია კეთილმორწმუნე ქრისტიანი კაბადოკიელი ქალწული – ნინო.

ნინო ქრისტიანთა ოჯახში აღიზარდა. იგი ბავშვობიდანვე ისმენდა აღმზრდელებისაგან ქრისტიანობის გავრცელების, მაცხოვრის ქვეყნიური ცხოვრების და წამების ამბავს. მისგანვე გაიგო ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში - საქართველოში. ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა შეისმინა მისი ვედრება, ამცნო, რომ ქართველთა ქვეყანა მისი წილხვდომილი იყო და წმინდა ქალწული მოციქულად განამზადა. ერთ ღამეს წმინდა მარიამი სიზმრისეულ ხილვაში გამოეცხადა მას და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი“.

წმინდა ნინომ ვედრებით მიმართა ყოვლადწმინდას, ნიშანი ებოძებინა, რომელიც დაუდასტურებდა, რომ უბრალო და უმწეო ქალწული მოციქულებრივი ღვაწლის აღსრულებას შეძლებდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მოკვეთა რტო ვაზისა, რომელიც ნინოს სარეცელის ზემოთ იყო, ჯვარი გააკეთა, ქალწულს მისცა და უთხრა, რომ ეს ჯვარი იქნებოდა მისი მცველი და წინააღმდგომთა ზედა ძლევის მიმნიჭებელი:

„ეს იქნება შენი შემწე და მფარველი ყოველს გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრების წინააღმდეგ . ძალისა მისითა დაამყარებ სიტყვასა ძისა ჩემისასა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა“.

გამოღვიძებულ ნინოს მართლაც ჯვარი ეპყრა ხელთ. მან სიხარულის ცრემლებით დაალტო და საკუთარი თმებით შეკრა იგი. ამ ჯვარით ნათელიღო ჩვენმა ქვეყანამ, ამ ჯვარს თაყვანს სცემენ და ამბორსჰყოფენ დღემდე მორწმუნეები, როდესაც წმინდა ნინოს ხსენების დღეს ანალოგიაზე კრძალვით გამოასვენებენ ხოლმე სიონის ტაძარში, სადაც იგი არის დასვენებული.

ზეციური დედოფლისაგან ბოძებული ჯვარისა და წმინდა ნინოს ლოცვის მეოხებით საბოლოოდ დაემხო ქართლში კერპთაყვანისმცემლობა; წმინდა ნინოს მიერ დედოფალ ნანას სასწაულებრივმა განკურნებამ და მეფე მირიანის თავს გარდახდილმა სასწაულმა ქრისტიანობა სრულიად საქართველოს რელიგიად აქცია.

სულთმოფენობა

აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს ეკლესია აღნიშნავს და ზეიმობს სულთმოფენობის დღესასწაულს, სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს. ეს დღე ითვლება ქრისტეს ეკლესიის დაარსების დღედაც. ამ დღეს მაცხოვრის მიერ დაპირებული სულიწმიდა, გარდამოვიდა მოციქულებზე და მორწმუნეებზე, „გარდამოხდა ზეცით ნუგეშინისმცემელი იგი, ზღუდე სიმტკიცისაი და წმიდამყოფელი ეკლესიათაი, და მოდვაწეი იგი სულთაი, შემწეი იგი სულთაი, შემწეი ჭირვეულთაი, განმანათლებელი შეცდომილთაი, გვირგვინის მომცემელი იგი მოღვაწეთაი”...

როდესაც მოსე წინასწარმეტყველი ებრაელებს ეგვიპტიდან გამოუძღვა, მან ისინი მეორმოცე დღეს სინას წმ. მთასთან მიიყვანა, ხოლო ორმოცდამეათე დღეს გამოუცხადა მათ დმრთაებრივი სჯული ძველი აღთქმისა. სწორედ ამ მოვლენას აღნიშნავდნენ ებრაელები იმ დროს, როდესაც სულიწმიდა გარდამოხდა ზეციდან და ცეცხლოვანი ენების სახით მოციქულებს თავებზე დაადგრა. არ არსებობს ღვთის განგებულებაში არავითარი შემთხვევითობა... მოსემ ეგვიპტიდან გამოსვლის ორმოცდამეათე დღეს გამოუცხადა შჯული ებრაელებს, ხოლო სულიწმიდა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს გარდამოვიდა მოციქულებზე... ასეთი სიმბოლური მსგავსება ამ მოვლენებისა ძველი სჯულის ახლით შეცვლის ნიშანი იყო, ასევე ნიშანი იყო იმისა, რომ „ერთი და იგივე არს ძველისა და ახლისა შჯულისა მომცემელი”...

ოდესღაც ენები, კაცთა მზაკვრული ზრახვების გამო გაიყო ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას, დღეს კი სულიწმიდის მადლითა და წყალობით მოეცა ადამიანებს, რათა შეეწიოს მათ,... მაშინ განიბნია, რათა კაცს კაცისათვის არ მოესმინა, ახლა კი მოეცა, რათა ისმინონ უფლისა, გულისხმაყონ და ისწავლონ ერთმანეთისგანაც, რომ ჩვენთან არს ღმერთი, მაცხოვარი ყოვლისა სოფლისა... მოეცათ ენები მოციქულებს, რათა ექადაგათ ჭეშმარიტი სარწმუნოება მთელს ქვეყანაზე, და მას შემდეგ ყოველი მქადაგებელი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა სულიწმიდის მადლით ქადაგებს და იღწვის... ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში, სადაც შეურყვნელად არის დაცული ქრისტეს სარწმუნოება და მოძღვრება, სულიწმიდის მადლია დავანებული... და სულიწმიდა არის ჭეშმარიტი მოძღვარი, მასწავლებელი და მქადაგებელი ეკლესიაში... სწორედ ამ ჭეშმარიტების დასამოწმებლადაც ამბობს წმ. იოანე ოქროპირი ეკლესიის შესახებ: “ვისთვისაც ეკლესია არ არის დედა, მისთვის ღმერთი არ არის მამა”... სულიწმიდა არის სული ღვთისა, თანასწორი მამისა და ძისა „რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს„ მადლითა თვისითა, სულიწმიდაა, „ნათელი და ნათლის მომცემელი კაცთათვის, რომლისა მიერ მამა იცნობების და ძე იდიდების და ყოველთა მიერ საცნაურ იქმნების”, ვერავინ ვერსად დაემალება სულიწმიდას, ვერც კეთილისმოქმედი და ვერც ბოროტისმოქმედი, არ არსებობს არცერთი ზრახვა გავლებული ადამიანის გულში, რომელსაც სულიწმიდა ვერ გაიგებს. ამიტომაც ***სულიწმიდა ნუგეშინისმცემელია კეთილთათვის და საშიშია ბოროტთათვის. შევთხოვოთ უფალს - სულიწმიდას, რომ მოგვმადლოს ნიჭები სიკეთისა, სიყვარულისა, სიმდაბლისა, სარწმუნოებისა, სიმშვიდისა, ლოცვისა, მარხვისა, მიტევებისა და მოთმინებისა... შევთხოვოთ სულიწმიდას საქართველოს გამთლიანება, გაძლიერება, საქართველოში სიყვარულისა და მშვიდობის დამკვიდრება...*** ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

დღეიდან უკვე ითქმება, დასაწყის ლოცვებში ყველა ჩვენთაგანისათვის საყვარელი ლოცვა ღვთისადმი, და მინდა მოგიწოდოთ ეხლა, რომ ვთქვათ ეს ლოცვა ერთად: მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

მადლის ქვა

როცა წმიდა დავით გარეჯელმა იერუსალიმის მოლოცვა გადაწყვიტა, მონასტრის უკვე საკმაოდ დიდი კრებული წმიდა ლუკიანეს ჩაბარა და თვითონ რამდენიმე ძმასთან ერთად წმინდა ქალაქისკენ გაეშურა.

მიაღწიეს ადგილს, რომელსაც მადლის ქედი ეწოდება და საიდანაც მთელი იერუსალიმი მოჩანს. იხილა რა ღვთის ქალაქი, წმიდა დავითი ქვე დაემხო, მადლობა შესწირა უფალს: “მადლობელი ვარ, უფალო, რომ მეც, შენი უღირსი მონა, ღირს მყავ მოწევნად და ხილვად შენი წმინდა ქალაქისა, სადა დასდგნენ ფერხნი შენნი. აღარ ვიკადრებ ჩასვლას ქვემოთ და შენი წმინდა ნაფეხურების დათრგუნვას. ჩემთვის საკმარისია ის მადლიც, რომელიც იერუსალიმის ოდენ ხილვით მომეცა”.

კარგა ხანს იყო ქვე დამხობილი. ძმებმა გზის განგრძობა სთხოვეს. მაგრამ წმიდა დავითი უღირსად იტყოდა თავს და ვერ შეჰბედა იერუსალიმში შესვლა. მხოლოდ სთხოვა ძმებს: “თქვენ წადით და ჩემთვის, ცოდვილისათვის, ილოცეთ უფლის საფლავზეო”. მარტო დარჩენილმა დიდი ლოცვისა და ცრემლთა ღვრის შემდგომ იმ ადგილიდან, სადაც მუხლმოდრეკით იდგა, სამი ქვა აიღო, იმხელა რწმენით, თითქოს ქვანი უფლის საფლავისგან არიან გამოკვეთილნიო, დიდის კრძალვით ჩააწყო კალათაში და უკან, გარეჯისკენ გამობრუნდა.

იმავე ღამეს უფლის ანგელოზი გამოეცხადა იერუსალიმის პატრიარქ ელიას და აუწყა: ***მოვიდა იერუსალიმში საკუთარი მონაი ჩემი დავითი და თავისი სარწმუნოებით წაიღო მადლი იერუსალიმისა. ხოლო შენ წარავლინე მალემსრბოლნი, რათა დაეწივნენ მას. დავითს კალათაში სამი ქვა უძევს, შენმა ხალხმა ამ ქვებიდან ერთი დაუტოვოს და უთხრას: “ამას გიბრძანებს შენ უფალი - შენი რწმენისთვის მიგეღო მადლი ჩემი წმინდა ქალაქის იერუსალიმისა. ხოლო მე სათნოდ მიჩნს, ორი ნაწილი უკანვე, იერუსალიმში, დავაბრუნო, რათა სრულიად არ იყოს განშორებული მადლისაგან. ხოლო მესამედი მადლისა შენთვის მოგინიჭებია. წაიღე იგი უდაბოში, წმინდა ჰყავ შენი მისვლით, შენი სხეულის იქ დადებით (ანუ გარეჯას დაიმარხეო), რომლისა სარწმუნოებით შემხებელთა ჰპოვონ კურნება სულთა და ხორცთა. ხოლო ეგ ქვა წაიღე უდაბნოში, ვითარცა ეკლოგია, სახსენებლად და მისათხრობლად სარწმუნოებისა შენისა”***. პატრიარქმა სასწრაფოდ დაადევნა თავისი ხალხი წმიდა დავითს. მიეწივნენ ღირს მამას, თაყვანის სცეს, მოუთხრეს ყოველივე. კრძალვით, სიმდაბლით გამოართვეს ორი ქვა და ერთი დაუტოვეს.

ღვთის სახიერებით გაკვირვებული წმიდა დავითი დაემხო მიწაზე და მადლობა შესწირა უფალს. მიუხედავად პატრიარქის კაცთა ვედრებისა, ღირსი მამა აღარ მიბრუნდა იერუსალიმს, სადაც უკვე განთქმულ იყო მისი სახელი, დაბრუნდა გარეჯას და მიჰფინა მადლი იერუსალიმისა თავის მონატრებულ სულიერ შვილებს.

დავით გარეჯელი

ამაღლების შემდეგი ხუთშაბათი, 13 ასურელი მამიდან გამორჩეული მამის – დავით გარეჯელის ხსენების დღეა.

მამა დავითმა თავიდან სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია. ბერ ლუკიანესთან, თავის მოწაფესთან და სულიერ შვილთან ერთად ქალაქის დასავლეთით მდგარი მთის ფერდობზე, გამოქვაბულში დასახლდა და იქვე პატარა სამლოცველო მოაწყო. ბერები მხოლოდ მთის მცენარეებით იკვებებოდნენ და ლოცვაში ატარებდნენ დღეებს. წმინდა მამათა საცხოვრისი ანდამატივით იზიდავდა თბილისსა და მისი შემოგარენის მკვიდრთ. ბერებთან უამრავი ხალხი მიდიოდა აღსარებისთვის. მამა დავითი უსმენდა მათ, სინანულისა და შენდობისაკენ მოუწოდებდა, ხუთშაბათობით კი ქალაქში ჩადიოდა, ქადაგებით ამხნევებდა ხალხს და რწმენას განუმტკიცებდა.

მამა დავითის ლოცვით, მისი გამოქვაბულის ახლოს, სასწაულთმოქმედმა წყალმა ამოხეთქა. ამ წყაროს წყალობით მრავალი მართლმორწმუნე განიკურნა უშვილობისაგან.

იმდროინდელი თბილისი ცეცხლმსახურებს ეპყრათ. დაუღალავი სწავლებით და ანგელოზებრივი ცხოვრების მოშურნეობით, მამა დავითმა ბევრი ცეცხლმსახური მოაქცია ქრისტეს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ რჯულზე.

მოგვები ხედავდნენ, რომ დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა ხალხში და ყოველნაირად ცდილობდნენ, შეებღალათ მისი სახელი. ერთ კვირა დღეს საქადაგებლად ქალაქში ჩამოსულ წმიდა მამას, მასზე წინასწარ შეთხზული ცილისწამების მოწმედ მეძავი ქალი მოუყვანეს. მეძავმა შეკრებილი ხალხის წინაშე მამა დავითს მრუშობა დააბრალა. უფლის მსასოებელმა მოძღვარმა ქალის მუცელს ჯვრის ნიშნიანი რკინის კვერთხი შეახო და ნაყოფს უბრძანა, ეთქვა ნამდვილი მშობლის ვინაობა. მანაც სასწაულებრივად თავის მამად ვინმე მჭედელი აღიარა. ამბის მოთავე შერცხვენილმა მოგვებმა ქალს ქვები დაუშინეს. მათ ხალხიც აყვა. ღირსმა დავითმა ვერ შეძლო მათი შეჩერება და ცილისმწამებელი ქვებით ჩაქოლეს. ამ ამბის შემდეგ გულგატეხილმა ბერ ლუკიანესთან ერთად დატოვა ქალაქი.

მამა დავითი მალე წავიდა თბილისიდან, მაგრამ ქალაქის მკვიდრთ მისდამი მოწიწება და სიყვარული დიდხანს არ განელებიათ, ამიტომაც უსახელო მთას მამადავითი უწოდეს. იმ ადგილზე, სადაც წმიდა მამას უყვარდა ქადაგება, ამჟამად აღმართულია ქ(უ)აშვეთად წოდებული წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია.

მამადავითის პირველი ეკლესიის შესახებ მატიანეს ზუსტი ცნობები არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ IX საუკუნეში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა. ამიტომაც, ათონის მთის მსგავსად, მამადავითს მეორე სახელი - „მთაწმინდა“ დაერქვა. დამპყრობლებმა საუკუნეთა მანძილზე არაერთგზის დაანგრიეს ეკლესია, მაგრამ ღირსი დავითის ლოცვის მეოხებით მთის ეს ფერდობი უკვე უფლის მადლით იყო ცხებული, ამიტომაც იოლად აღდგებოდა ხოლმე ნანგრევებიდან ბარბაროსთა უგუნურების მსხვერპლი.

ყოველ წელიწადს, წმინდა დავით გარეჯელის გარდაცვალების დღეს, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, თბილისში მამადავითობა აღინიშნებოდა. იგი თბილისელთა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღესასწაული იყო. დილაადრიან იწყებოდა მთაწმინდისაკენ ხალხის საზეიმო სვლა. მლოცველები მამადავითის ეკლესიას ფეხშიშველნი სამჯერ უვლიდნენ გარს. ზეიმის დროს ქალაქის ახლომახლო სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ ღამისმთევლები. დღესასწაული გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

რაც გენეტიკურად გადადის

გიგი ქურხული – წარმატება და მიზანი

19-21 მაისი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საამაყოდ გაჰყვება საგარეჯოს III საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეს გიგი ქურხულს. ამ დღეებში უნგრეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში 2003 წლიან მოჭიდავეთა შორის, რომელშიც კონტინენტის 33 ქვეყნის წარმომადგენლები სცდიდნენ თავიანთ ძალებს, მან 47 კგ წონით კატეგორიაში შეძლო III საპრიზო ადგილის დაკავება. ამის მისაღწევად მას 5 ქვეყნის ფალავნებთან მოუხდა შერკინება, საიდანაც ოთხი გამარჯვებით დაასრულა, ერთში კი მარცხი განიცადა. პირველი უკრაინელი მეტოქე მან ადვილად და „მშრალი ანგარიშით“: 11:0 დაამარცხა. 3:2-ზე სძლია მაკედონიელ მეტოქეს, მაგრამ ქულათა დიდი სხვაობით წააგო ბულგარელ მოწინააღმდეგესთან, რითაც გზა გადაეკეტა ჩემპიონობისათვის ბრძოლაში, თუმცა დარჩა შანსი ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად.

გიგიმ შესაძლებლობა კარგად გამოიყენა, 8:4 დაამარცხა ბელორუსი, 10:4 აზერბაიჯანელი მეტოქეები და შეძლო საპრიზო სამეულში მოხვედრა.

მაშინ 9 წლის იყო გიგი, როცა 2012 წლის აპრილში სავარჯიშოდ საგარეჯოს საკუთრების დაცვის პოლიციის სპორტულ დარბაზში გახსნილ თავისუფალი ჭიდაობის სექციაში მწვრთნელ კობა საგინაშვილს მიაკითხა, შემდეგ კი რამაზ ასაბაშვილმა მოჰკიდა ხელი მის წვრთნა-დაოსტატებას. პირველი წარმატება იმავე წლის ოქტომბერში იზეიმა. 2013 წლის აპრილში გახდა საგარეჯოში გამართული შეჯიბრის ჩემპიონი 32 კგ წონით კატეგორიაში, ოქტომბერში კი იგივე წონაში III საპრიზო ადგილზე გავიდა.

2014 წელს თებერვალში გიგი ვიცე-ჩემპიონი გახდა 32 კგ წონით კატეგორიაში საგარეჯოში გამართულ ტურნირზე, მარტში იმავე წონაში II ადგილი დაიკავა თბილისის ტურნირზე, აპრილში II ადგილი, მაისში I ადგილი საგარეჯოში. 2015 წელს ზედიზედ სამჯერ ჩემპიონი გახდა ბოლნისში, აჭარასა და საგარეჯოში გამართულ შეჯიბრებებში, თურქეთის საერთაშორისო ტურნირში კი მეორე ადგილი დაიკავა 35 კგ წონით კატეგორიაში. იმავე წელს წონას იცვლის და ჩემპიონი ხდება 38 კგ წონით კატეგორიაში საგარეჯოს ტურნირში.

2016 წლიდან უკვე 42 კილოგრამ წონაში ჭიდაობს და ხდება საგარეჯოში, რუსთავსა და მარნეულში გამართული შეჯიბრებების ჩემპიონი, თბილისის ტურნირის II, ბაქოსა და საგარეჯოს ტურნირების III პრიზიორი. შემდეგ საგარეჯოში გამართული შეჯიბრების ჩემპიონი 47 კგ წონით კატეგორიაში, რის შემდეგაც აიყვანეს საქართველოს ამ წლიანთა ნაკრებში.

გიგიმ წარმატებით დაიწყო მიმდინარე წლის ასპარეზობებიც. გახდა საგარეჯოს ტურნირის ჩემპიონი 47 კგ-ში, საქართველოს ჩემპიონატზე კი II ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის ლიცენზია მოიპოვა.

აი, ასეთი გზა განვლო საგარეჯოსა და საქართველოში ჭიდაობით განთქმული ქურხულების გვარის პატარა წარმომადგენელმა ვიდრე ამ წარმატებას მიაღწევდა. მიხა ქურხული მისი დიდი პაპის ბიძაშვილი იყო, შალიკო ქურხული, როგორც მას ეძახდნენ „ცაცია“ კი, გიგის პაპის ძმა ყოფილა.

როგორც ქართული ანდაზა გვასწავლის „კვიცი გვარზე ხტისო“ და, მომავალში ალბათ კიდევ უფრო მეტი წარმატებებით ასახელებს საგარეჯოსა და ჩვენს ქვეყანას გიგი ქურხული. როგორც მან განაცხადა, ჩაფიქრებული აქვს გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი და ისეთი მონდომებით ემზადება და ვარჯიშობს, იმედია, ამ სურვილსაც ნამდვილად აიხდენს.

გივი დაგახიშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

ხატია მინდიაშვილი – იჯევანის საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი

2-4 ივნისს სომხეთის ქალაქ იჯევანში ჩატარდა ცნობილი სომეხი ფალავნის ნვერ შახნაზარიანის ხსოვნის მეათე საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში სხვა მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ამ სტილის მოჭიდავე გოგონებიც. მათგან იმარჯვა და ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 58 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ხატია მინდიაშვილი (მწვრთნელები: რ. ასაბაშვილი, დ. ბაბუნიძე, კ. საგინაშვილი). შეგახსენებთ, რომ მანამდე ხატია გახდა ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობის ვიცე ჩემპიონი.

გარეჯელი კლასიკოსების წარმატება ჭიათურაში

ამას წინათ ჭიათურაში ჩატარდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის რაინდი აბრამიშვილის ხსოვნის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2003-2004 წლიან მოჭიდავეებს შორის. აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი სექციიდან ამ ტურნირში 5 ამ სტილის მოჭიდავე გამოდიოდა. მათგან საუკეთესოდ იასპარეზა და ტურნირის ჩემპიონი გახდა 73 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მუხმად წუწაშვილი. მისმა თანაგუნდელმა ტარიელ პაატაშვილმა კი მეორე ადგილი დაიკავა 66 კგ წონით კატეგორიაში (მწვრთნელები: თ. ყიფიანი, ვ. მარტიაშვილი).

როინ ყორღანაშვილის ხსოვნის XVII ტურნირი საგარეჯოში

მაისის ბოლო დღეებში საგარეჯოში ჩატარდა ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის ოსტატ როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი XVII საერთაშორისო ტურნირი 2004-2005-2006 წლებში დაბადებულ ვაჟ ძიუდოისტებს შორის. ტურნირში მასპინძელ, საგარეჯოელ მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ უკრაინის, თბილისის „ოლიმპის“, „ლიდერის“, „ჯორჯიას“ სპორტსკოლების, რუსთავის, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებისა და სხვა მუნიციპალიტეტების 136 მოჭიდავე, რომლებიც 11 წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს ჩემპიონის წოდებისა თუ საპრიზო სამეულში შესვლის უფლების მოპოვებას.

ასპარეზობა პირველებმა 27 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი **შოთა ბაჩოშვილი**. ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა **ვახტანგ ჭიაბერაშვილი** (საგარეჯო).

30 კგ წონითი კატეგორიაში ჩემპიონი გახდა მანაველი **ონისე ბორაშვილი**, რომელმაც საფინალო ორთაბრძოლაში დაამარცხა საგარეჯოელი გიგა ბაქარაშვილი.

ვახტანგ ჭიაბერაშვილი, ასევე, მესამე პრიზიორი გახდა 34 კგ წონით კატეგორიაში. ასეთივე შედეგი ჰქონდა ამ წონაში **დავით კევლიშვილს. გიორგი ლოლაძემ** (საგარეჯო) ფინალში დაამარცხა გიორგიწმინდელი ნიკა თათრიშვილი და გახდა 38 კგ წონითი კატეგორიის ჩემპიონი. 42 კგ წონითი კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგიწმინდელი **ზურა კევლიშვილი.** ამ წონაში III ადგილზე გავიდა უდაბნოელი **ცოტნე იოსელიანი**. უდაბნოელი **გიორგი არღვლიანი** ჩემპიონი გახდა 50 კგ წონითი კატეგორიაში, მესამეზე გავიდა **გიგი ხოსიტაშვილი**. 55 კგ წონითი კატეგორიაში კი ჩემპიონობა არავის დაუთმო მზისგულელმა **ანდრო ბერიშვილმა,** რომელმაც ფინალურ შეხვედრაში სძლია გიორგიწმინდელ **ბეჟა მასურაშვილს**, მესამე ადგილზე გავიდა საგარეჯოელი **გიორგი ცხოვრებაძე.**

60 კგ წონითი კატეგორიაში ვიცე ჩემპიონი გახდა **გიორგი დურიშვილი**, მესამე ადგილი კი **ლაშა ლოლაძემ** დაიკავა.

ისე, როგორც 55 კგ წონითი კატეგორიაში, 66-შიც ყველა საპრიზო ადგილი საგარეჯოელი ძიუდოისტებით დაკომპლექტდა. აქ ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი **შალვა ბადრიაშვილი,** მეორე ადგილზე გავიდა **ლუკა სვიმონიშვილი** (საგარეჯო), მესამეზე **გიგი ესაიაშვილი** (საგარეჯო).

დამამთავრებელ +66 კგ წონითი კატეგორიაში ჩემპიონი საგარეჯოელი **სანდრო სონიშვილი** გახდა, გიორგიწმინდელი **დავით კევლიშვილი** კი III ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 46 კგ წონით კატეგორიაში პრიზიორთა შორის მოხვდა უკრაინის წარმომადგენელი **ანდრეი მარჩენკო** – მე-3 ადგილი.

ასპარეზობის დასასრულს საპრიზო ადგილებზე გასული ჩვენი და სხვა ძიუდოისტები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი სიგელებითა და მედლებით.

თავისუფალი ჭიდაობა

კობა კუპატაძის ხსოვნის ტურნირზე

19-20-21 მაისს საგარეჯოში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონის, სამბოში სსრკ-ს ჩემპიონის და ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ფალავნის **კობა კუპატაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ პანკისის, გურჯაანის, გორის, ახმეტის, რუსთავის, თბილისის „მართვეს“, „ავლაბრის“ და სხვა რეგიონების ამ სტილის მოჭიდავეები, მთლიანობაში, მასპინძელი, გარეჯელი და ხაშმელი მოჭიდავეების ჩათვლით, სულ 76 სპორტსმენი.

ჩვენებური ფალავნებიდან საპრიზო ადგილების დაკავება ტურნირზე თხუთმეტმა ფალავანმა შეძლო. მათგან სამი ჩემპიონი, ამდენივე ვიცე-ჩემპიონი, ცხრა კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

კერძოდ, ტურნირის ჩემპიონები გახდნენ **თორნიკე ასაბაშვილი (32 კგ), მიხეილ ჯავახიშვილი (38კგ) და ფირუზ ძვლივიძე (53კგ).**

ვერცხლის სინჯის მედლები მოიპოვეს საგარეჯოელმა **ნიკა მელაშვილმა (23 კგ), ნიკა საგინაშვილმა (26კგ), თორნიკე თულაშვილმა (47კგ).**

ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ საგარეჯოელები: **გიორგი როსტომაშვილი და დავით გილაშვილი (23 კგ), დავით ძურხული (29კგ), შაკო გულისაშვილი (35კგ), გიორგი საგინაშვილი (42კგ), ხაშმელები: ნიკა ვართანიანცი (26კგ), ლევან ბაგაშვილი (26კგ), თემურ შიოშვილი (32კგ) და ნიკა შინჯიკაშვილი (+73კგ).**

ტურნირზე დაწესებული იყო კობა კუპატაძის სახელობის თასი, რომელიც საუკეთესო ჭიდაობისათვის გადაეცა თბილისის კლუბ „ავლაბრის“ მოჭიდავეს **გიორგი ურუზაშვილს** (+73კგ).

გ. დაგახიშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქტორს ქ-ნ **თინათინ ილაურს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შვილების და ახლობლების ბედნიერებას, სამშობლოს გამთლიანებას და გაბრწყინებას, ყველა სანუკვარი ოცნების ასრულებას.

„გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

სპეციალურად - ახალი წიგნის, „სიმართლის ორდენის“ პრეზენტაციისთვის

არიან მუზადანათლებული სიტყვის ოსტატები, რომელთა ყოველი ახალი ლექსისა თუ კრებულის სამზეოზე გამოსვლა უდაოდ ფასეული მოვლენაა; სწორედ ასეთი პოეტია რომან ზუკაკიშვილი, რომლის სულის სიმების შემრხევი ხმა და ხელწერა არასდროს აგვრევა სხვებში.

ამავე დროს, რომან ზუკაკიშვილი თავისი შემოქმედების იდეურ-თემატური და კონტექსტური თვალსაზრისით, ქართველ თერგდალეულთა ლიტერატურული გზის ღირსეული გამგრძელებელია: ისინი ხომ მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის“, მხოლოდ მკითხველთა სმენის დასატკბობად არ ძერწავდნენ კლასიკური ლიტერატურის შედევრებს. მათ მსგავსად, რომან ზუკაკიშვილსაც ნათლად ჩამოქნილი და ჩამოყალიბებული პოეტური, პიროვნული, მსოფლმხედველობრივი, მოქალაქეობრივი და ეროვნული პოზიცია აქვს გამჟღავნებული თავის სულიერ შვილებში - ლექსებში...

ამ ღრმა მხატვრულ-შინაარსობრივი ძიების პროცესის გამოძახილია ახალი კრებულის სათაურიც - „სიმართლის ორდენი“. ამავე სათაურით სახელდებულ ლექსში ავტორი გვთავაზობს იმ ჩანაფიქრის იდეურ გასაღებს, რომლითაც ხსენებულ წიგნში ახალი ნამუშევრები გააერთიანა:

„გვლავენ ხან, გთვლიან ხან გიჟად,
ხელად,
ვერ წაგართმევენ ღირსებას მაინც,
შენი სიმართლე სჭირდება ყველას:
გულკეთილს, გულგრილს,
ლაჩარს თუ რაინდს“.

იმისთვის, რომ პოეტმა უფლის უნიკალური საჩუქრის - მუზის მეშვეობით ნაღდი პოეზია შექმნას, არასდროს უნდა შეწყვიტოს ჭეშმარიტების ძიება; იმისთვის, რომ ჯერ თავად განიცადოს, შემდეგ კი სხვებს ადექვატურად გადასცეს თავისი სამშობლოს თუ მოყვასთა ტკივილი და სიხარული, დაცემა და ზეაღსვლა, დაბინდული და ნათელი მხარეები, პოეტმა ღირსების გზით უნდა იაროს; სხვაგვარად, იგი ვერ შექმნის კახური რქაწითელივით გულზე მოსაჭიდებელ სტრიქონებს და ვერც დასახულ შემოქმედებით მიზანს მიაღწევს.

კაცობრიობის ისტორიამ დღემდე შემოგვინახა ინფორმაცია ისეთი ფენომენალური მოვლენების შესახებ, როგორიც გახლდათ: შუმერთა მეფე შულგისა და ბაბილონელი მეფის, ხამურაბის უძველესი კოდექსები; იაპონელი სამურაების იერარქიული კოდექსი - „ბუშიდო“; შუასაუკუნეების ევროპელ რაინდთა კოდექსი, რასაც საფუძველი ჩაეყარა ფრანგული საგმირო ეპოსით „სიმღერა როლანდზე“; 1839 წელს შემუშავებული ჯენტლმენთა კოდექსი; მე-20 საუკუნის დასაწყისის ამერიკელ სკაუტთა კოდექსი; სიცილიური მაფიის - „კოზა ნოსტრას“ ღირსების კოდექსი; რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და ჩვენი სიამაყის საგანს წარმოადგენს - ქართული საგმირო-სარაინდო კოდექსი, რომლის ფორმირება მოხდა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ ეპოსში „ამირანდარეჯანიანი“; მასში ჩამოყალიბებული, დროთაგამძლე, სულიერი ღირებულებები რუსთაველმა კიდევ უფრო განავრცო და სრულჰყო თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“.

რა საერთო აქვთ სხვადასხვა ეპოქისა და ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული კულტურის მქონე ერების მიერ შექმნილ კოდექსებს? - უწინარეს ყოვლისა, მაღალი მორალური, ეროვნული და ამავდროულად, სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული ღირებულებები, რომლებიც თაობებიდან თაობებს ესტაფეტასავით გადაეცემოდა.

გადავშლით რომან ზუკაკიშვილის ახალ წიგნს და პირველივე ფურცლებზე აღმოვაჩენთ: თავისი პოეტური ფუნჯისა და საჭრეთელის გამოყენებისას, იგი წარსულის გამოცდილებასა და საკუთარ პიროვნულ მრწამსზე დაყრდნობით შემუშავებული ღირსების კოდექსით ხელმძღვანელობს. შედარებისთვის: ტელე-რადიო ჟურნალისტებს გვასწავლიდნენ - სატელევიზიო სიგნალმა რომ ტელეანძიდან ჩვენს ტელევიზორებამდე მოაღწიოს, რადიოტალღაზე „ჯდება“ და მისი მეშვეობით მოაქვს სატელევიზიო გამოსახულება.

რომან ზუკაკიშვილის ლექსები წარმოადგენს ერთგვარ რადიოტალღებს, რომელთა დახმარებითაც პოეტს მკითხველებამდე მიაქვს თავის ღირსების კოდექსში ჩაწნულ-ჩაკირული უმაღლესი ღირებულებები: სამშობლოსა და მოყვასის ერთგულება, გაჭირვებულთა გულშემატკივრობის უნარი, სიმართლის ძიება და სხვათათვის დანახვების ნიჭი, უფლისადმი გულწრფელი რწმენა და მორჩილება, მოვალეობის შეგრძნება და განხორციელება, თავმდაბლობა, ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიციის პირდაპირ, ფერ-უმარილის გარეშე დაფიქსირება...

„მე მწამს სოფელი, როცა ერთი
ჰაერით ვსუნთქავთ,
როდესაც მიგვაქვს ერთმანეთის
ტკივილი გულთან.
არ მიყვარს იგი, ვინც სხვებს მუდამ
უცქერს ზემოდან,
კაიკაცობა რომ აქვს მხოლოდ
სადღეგრძელოდა!“

ყველა დროის უდიდესმა ბიოლოგმა, ჩარლზ დარვინმა მეცნიერებას უანდერძა ცნობილი გამოთქმა: „ბრძოლა არსებობისთვის“; კავკასიის მთების შემაზანზარებელმა ქართველმა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა კი ქართველებს გვიანდერძა: „ეძიებდეთ ქრისტესათვის სიკვდილს!“

ამდენად, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთაგან, აგრეთვე საკუთარი ტყავისა და კეთილდღეობის დაცვით დაკავებული ორფეხა ინდივიდებისგან განსხვავებით, სულმნათი ივერნი ოდითგანვე იბრძოდნენ ქრისტესათვის, სამშობლოსა და საკუთარი ღირსების დასაცავად; იბრძოდნენ და ეწირებოდნენ; ეწირებოდნენ და საუკუნო სიცოცხლეს აგრძელებდნენ შთამომავალთა გულებსა და მეხსიერებაში. სხვაგვარად ვერ შეიქმნებოდა რომან ზუკაკიშვილის ეს შეუდარებელი სტრიქონებიც:

„სხვისი ჭირი ვერ ჩავთვალე სხვისად,
სხვა ვინ არის?! ყველა ღვთისგან მოდის.
ჩემი სული, ამ სამყაროს ხნისა,
მტვირთველია მადლისა და ცოდვის“.

და აქვე, ეს დაუვიწყარი სიტყვებიც დავაჭაშნიკოთ:

„დრო გამოგვცდის ხომ, მართლაც,
და თუ რამე გვიშველის, -
მხოლოდ ერთად დგომა და
რწმენა მოუსყიდველი“!

ერთხელ, ერთმა ნაცნობმა მითხრა: ნამდვილი პოეტი რომ იყო, მხოლოდ კარგი ლექსების წერა საკმარისი არაა - პოეტურადაც უნდა იცხოვროო. ალბათ, კვირა ან თვე ისე არ გავა, რომან ზუკაკიშვილი და მე ერთმანეთს არ შევეხმიანოთ ხოლმე. ვინ იცის, რამდენჯერ ნაღვლიანი ხმით უთქვამს მავანსა და მავანზე: მისი გაჭირვების შესახებ რომ გავიგე, ჩემი საწუხარი დამავიწყდაო... მერე ფორიაქობს, ნერვიულობს, განიცდის... შეუძლია, მთელი სამყარო ააწრიალოს, ოღონდ შეჭირვებულს დაეხმაროს, რადგან ღირსების კოდექსი სხვა გზას, სხვა გასაქანს არ უტოვებს...

ეს ყოველივე კი ახალ წიგნში შეტანილ შემდეგ ლექსშიც აისახა, რომელსაც, რამდენიმე სხვა ლექსთან ერთად, ასე უწოდა: „ქუჩაში გაელვებული ფიქრებიდან“:

„სხვისა ტკივილს რომ შევიტყობთ,
დაგვავიწყდეს ჩვენი,
განგაშის ზარს შემოვკრავდეთ,
დავეძებდეთ წამალს!
ვინც გულქვაა, ვერ გამიგებს,
ზღაპრად ჩათვლის ამას,
თვით იყავი ქვისებრ მტკიცე,
დაუხვდები სეტყვას,
სიყვარულის ტყვედ ჩავარდნილს
სხვისი მხსნელი გერქვას“.

ქუჩაში მიმავალ ადამიანს კი ასეთი კეთილშობილური ფიქრები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუელვებს გონებაში, თუ ის რაინდის ხასიათსა და თვისებებს ფლობს.

თავის დროზე რომან ზუკაკიშვილისა და ჩემს თანასოფლელს, დიდ გოგლას „ბერმუხა“ და „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტი“ უწოდეს...

ნებას ვთხოვ ჭეშმარიტი პოეზიის დამფასებელ საზოგადოებას: რომან ზუკაკიშვილს ვუწოდო „სიმართლის ორდენის რაინდი“ და დიდი მადლობა გადავუხადო ქართული პოეზიის, ქართული ეროვნული ფასეულობების, რწმენისა და ღირსების მრავალწლიანი სამსახურისთვის.

სანდრო უსტიაშვილი,
მწერალი, ჟურნალისტი

ახალი წიგნი

ჩვენი თანამედროვე

ქართული სიტყვის ოსტატი

გამოსათხოვარი

ალექსანდრე ნეკრესელი (ნეკრესელაშვილი)

ალექსანდრე ნეკრესელი (ნეკრესელაშვილი) დაიბადა 1941 წლის 5 თებერვალს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1967 წლიდან მუშაობა დაიწყო გომბორის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. იმავე წლის სექტემბრიდან გადაიყვანეს წყაროსთავის შვიდწლიან სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ. 1969 წლიდან მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონული გაზეთის „ივრის განთიადის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ, 1971 წლიდან ამავე გაზეთის პასუხისმგებელი მდივანია, 1974 წლის აპრილიდან გადაყვანილ იქნა საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1975 წლის აპრილიდან საგარეჯოს რაიგაზეთ „ივრის განთიადის“ რედაქტორია.

1980 წლის დეკემბრიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ. 1981 წლის ოქტომბრიდან კი საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის საერთო განყოფილების გამგეა. წლების განმავლობაში იყო საქინფორმის კორესპონდენტი. 1987 წლიდან საგარეჯოს რაიგაზეთ „ივრის განთიადის“ რედაქტორია.

1992 წლის ივნისიდან დაინიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის რაიონული გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1997 წლის დეკემბრიდან ქართული ენის სახელმწიფო პალატის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსია, სადაც იმუშავა 2001 წლის ნოემბრამდე.

სხვადასხვა თანამდებობებზე ყოფნისას აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა წიგნების გამოსაცემად. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. პირველად დაიბეჭდა კრებულში „სტიქია და ადამიანები“. გამოსცა 4 წიგნი: „გომბორელი მოლექსეები“, „ლექსობენ მთიელები“, ლექსთა კრებულები „ანი-დან ჰოე-მდე“ და „დაჭრილი არწივი“.

წარმატებული გამოდგა მისი პიესა „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“ საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე, რომელიც გოგლა ლეონიძის 100 წლისთავს მიუძღვნა.

მომზადებული ჰქონდა გამოსაცემად სხვა კრებულებიც, რომლის გამოცემასაც ვერ მოესწრო.

მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი საგარეჯოს მიწა.

მისი სახელი დიდხანს დარჩება საგარეჯოელთა ხსოვნაში.

მეგობრები

მურთაზ ელერდაშვილი

დაიბადა 1934 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. პატარძეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში ვარჯიშობდა ჭიდაობა „სამბოში“ და ქართულ ჭიდაობაში. 1953 წელს ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში მოიპოვა პირველი ადგილი, დაამარცხა რა სხვებთან ერთად თავისი უფროსი ძმა თენგიზ ელერდაშვილი.

მურთაზ ელერდაშვილს ყოფილი სსრკ-ს პირველობებზე დაკავებული აქვს II და III საპრიზო ადგილები. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა სპორტსახოგადოება „კოლმეურნეს“ რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ. იყო სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოში“.

ჩვენგან წავიდა კიდევ ერთი ბერ-მუხა იმქვეყნიურ სასუფეველში.

მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი საქართველოს მიწა.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება“.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

განცხადება

იყიდება ორსართულიანი სახლი ქ. საგარეჯოში, განთიადის ქუჩაზე 400 კვ.მ. მიწის ხეხილიანი ნაკვეთით
ფასი 12000§. ტელ: 577 605 832
გულნაზი გიუნაშვილი